საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და 40-ე მუხლების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის პირველი კვარტლის ანგარიში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ.

2018 წლის პირველ კვარტალში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 64 განცხადება, აქედან:

ა) საჯარო ინფორმაცია მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 59 განცხადებაზე;
ბ) 3 განცხადებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
გ) 2 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი ერთ შემთხვევაში ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო დაცული საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ერთ შემთხვევაში შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს და ერთ შემთხვევაში იყო კონფიდენციალური.